სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
ლად მიმართავენ რედაქციის დილის
...3 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
...-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 5 მან., და 50 კაპ.

გამგეობა ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა
...ით თვის წევრთ აცნობებს, რომ კვირას, 14 მარტს ამ წლისას და-
ნიშნულია

## წლიური სხდომა
### წევრთა საზოგადო კრებისა

დილის 10 საათზე, ფოთის საქალაქო გამგეობის დარბაზში:
1. განსახილველი და დასამტკიცებელია ანგარიში, 1898 წლისა.
2. დასამტკიცებელია 1899 წლის ხარჯთა აღრიცხვისა.
3. ასარჩევია რჩევის ორი დეპუტატი, იმათ ნაცვლად, რომელთ
...ა გაუდის.
4. ასარჩევია თავმჯდომარე და დირექტორი გამგეობისა იმათ
...ცვლად, ვისაც ვადა გაუდის ან ავათმყოფობისა გამო თავს ანებებს.
5, ასარჩევია სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და მათი კანდი-
...ტი.

წესდების 36 მუხლის ძალით, საზოგადო ნატარიული რწმუნები-
...ფურცელნი, საზოგადო კრებაში მონაწილეობისა მისაღებად სა-
...რონი, უნდა გამგეობაში წარმოდგენილი იქმნენ სამი დღით ადრე,
...ოგადო კრებისათვის დანიშნულ დღისა, ე. ი. არა უგვიანეს ამა
...ის მარტის თერთმეტის რიცხვისა. (3—3)

## დააჭაშნიკეთ
## ...ვაუწურავი ღვინოები

პირდაპირ ბოჭკიდან ბოთლში ჩამოსხმული

## „იყალთო"

...ურგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა კოლოვნის პროსპექტი სას-
ტუმრო „როსსიას" ქვეშ სახ. ანტონოვისა, № 19.
იქვე შეიძლება ღვინის სმა

...ეთ „კავკასის" კანტორაში
ისყიდება
რუსული ახალი წიგნი
...ორ-ქალაქ
(ბინოკლისა)
...ლები უნებურად ორ-ცოლიანი-
...და საზოგადოდ გაუფრთხილებე-
ლის კაცისა.
...სი 1 მან., გაგზავნით
...სტით 1 მ. 25 კაპ. წიგნე-
... გამყიდველებს დაეთმო-
ბათ 25%.
...გამოცემის წმინდა შემოსავა-
...დანიშნულია გადმოსახლებულ-
...სასადილოსათვის ტფილისში.
(20—2)

ქ. ქუთაისი
## ექიმი
ნ. გ. ჭიჭინაძე
იღებს ავადმყოფებს
დილის 9—11 საათამდე
და საღამოს 4—6 საათ.
ლევაშოვის ქუჩა ვ. ხარაზოვის
სახლი № 13.
ДОКТОРЪ Н. Г. ЧИЧИНАДЗЕ
кутаисъ, Левашеская ул. № 13.

მივიღეთ სწორეთ იმ ფირმებიდან
და ისეთივე საიმედო, როგორც
წარსულ წლებში, ბაღდადების
და ევროპიული ჯიშისა დიდი მა-
ლა აბრეშუმის თესლი. ჩვენ მეთ... ...
შეუძლიათ მოგვმართონ ჯერ-ჯე-
რობით: ოზურგეთში, ახალსენაკში
და ბათუმში ჩვენს წიგნის მაღა-
ზიებს, რომლებთაც დაეთმობა
ძლიერ იაფად. საიმედო პირს ვაძ-
ლევთ ნისიათაც. ამასთანავე ვყი-
დით სულ მცირე ფასათ ბჟოლის
ნერგს და წიგნაკებს აბრეშუმის
მოვლა მოშენებაზე.
(20—3) ძმ. თავართქილაძეები.

## ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დი-
ლის 11—12-მდე და საღამოს 7—
8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა
წიგნის მაღაზიებში და ეკლესიებში.
ცხოვრება ღირსისა დედისა
## თეოდორასი
ალექსანდრიელისა
სურათით
მეორე გამოცემა, მორჩილის რაჟ-
დენ ბარამიძის მიერ.
წიგნს შეიცავს 24 გვერდს და ღირს
ერთი შაური (10—7)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. პ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ф. ბა-
ცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. პ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საქიმო და საბაქტეროლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია.
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

უწმინდეს სინოდის განჩინება.

ა) 28 დეკემბრისთვიდამ—3 იანვრისთვემდის 1898 წლ. მე 4240 ნომრით, საექსარხოსო სახლის ეკონომოსი მღვდელ-მონაზონი არისტარქოსი დანიშნულ არს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის შტატის წევრად, ისე კი რომ აღყვანილ იქმნეს არხიმანდრიტის ხარისხზედ.

ბ) 4—11 იანვრისთვიდამ 1898 წლ. მე 4320 ნომრით, ტფილისის სასულიერო სემინარიის მოძღვარი მღვდელ-მონაზონი დოსითეოსი დანიშნულ არს ქართლ-კახეთის ეპარქიის ქვაბთახევის მიძინების მონასტრის წინამძღვრად, ისე-კი რომ აღყვანილ იქმნეს არხიმანდრიტის ხარისხზედ.

—

— მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით წარსულ წლის ექვსი ქრისტეშობისთვიდამ, საეკლესიო სკოლების ტფილის-ბორჩალოს სამაზრო მეთვალყურე, ბლაღოჩინი მღვდელი მარკოზ ტყემალაძე, თხოვნის თანახმად, განთავისუფლებულ არს მეთვალყურის თანამდებობიდამ და მის ადგილს დანიშნულ არს ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვარი, არხიმანდრიტი დოსითეოსი (ბერძნიშვილი).

## ახალი ამბავი

*** არდადეგები (каникулы) საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო უწყების სასწავლებლებში ვინაიდან ამიერ კავკასიის ქალაქებში მაისის გასულს და ივნისის დამდეგს ჩვეულებრივად დაიწყება ცხელი დღეები, რაიც ხელს უშლის მოწაფეებს გამოცდათათვის მომზადებაში, უწმიდესმა სინოდმა, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოეს ფლაბიანეს შუამდგომ-

ლობის თანახმად, ბრძანა: საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო უწყების სასწავლებლებში შეცვლილ იქმნას არდადეგების (კანიკულების) დაწყების და გათავების დრო, ისე რომ არდადეგები დაიწყებოდეს პირველ თიბათვეს და თავდებოდეს 15 მარიამობისთვეს.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა ქადაგება ქართულ ენაზე. 28 თებერვალს, სემინარიის მთავრობის განკარგულებით ქართულად იქადაგეს ამ სემინარიის მე 5 და მე-6 კლასის ზემდეგმა მოწაფეებმა ქართულ ენაზე შემდეგს ტაძრებში: ონიფანტე გამზარდიამ — კალოუბნისაში, პარმენ გელაშვილმა — ხარფუხისაში, სიმონ გულუამ — მთაწმინდისაში და ალ. ანთაძემ — ავლაბრის წმ. მარინესაში.

ქართულად იქადაგებენ სემინარიის შემდეგი მოწაფეები: ივანე კალანდარაშვილი — კალოუბნისაში, ბიქტორ ბერიძე — ხარფუხისაში, ლოლობერიძე ლეონტი — მთაწმიდისაში, კონსტანტინე ცაგარელი ავლაბრის წმ. მარინესაში და გოგიაშვილი პოლიკარპოსი — სამებისაში.

*** მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად შეწირულება. დიდად პატივცემულმა ბლაღოჩინმა დეკანოზმა მამა ს. ბეგიაშვილი „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბის“ რედაქციას გამოუგზავნა მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად დაარსებულ კომიტეტისთვის გადასაცემად 15 მან. და 38 კაპ. ხსენებულთ ფული ბ. ილ. ფერაძის მიერ გადაეცა ამ კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწეს ყოვლად ბამღვდელო ლეონიდს, ეპისკოპოზს გორისას.

ამავე ტაძრის შესაკეთებლად ბორჯომის ბლაღოჩინმა მამა სერგი დავითიშვილმა შესწირა 100 მანათი, შეკრებილი მისდამი რწმუნებულ საბლაღოჩინო ოლქის საეკლესიო და სამღვდელო მსახურთა შორის. ამ შეწირულებისთვის ვ. ბ. მამა დავითიშვილს გამოეცხადა საეპარქიო მთავრობის მადლობა მღვდელმთავრულ ლოცვა-კურთხევითურთ.

უკეთუ ჩვენი სამღვდელოება სულით და გულით ეცდება, მალე შეიძლება შეგროვილ იქნას ის 200,000 მანათი, რომელიც საჭიროა ღიდებული ნაშთის შესაკეთებლად და განსაახლებლად, იმ ნაშთისა, რომლის წიაღში სხვა ქართველ მოღვაწეთა შორის განისვენებს გმირთა გმირი კეთილმორწმუნე მეფე საქართველოსი ერეკლე მეორე, ეს თავ-განწირული მოღვაწე აღსაყვავებლად თვისს სამშობლოში ქრისტიანობისა და კეთილ-ზნეობისა.

*** სამსახურის თავის დანებება. სოხუმის პოლიცმეისტერი შტაბს-კაპიტანი ვ. ი. კოტლიარევი და სოხუმის ქალაქის ბოქაული ზავოროტნი სამსახურს თავს ანებებენ.

*** სკოლის დაარსება სოფლად. როგორც იუწყებიან, ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის წინამძღოლ ქალს იუვენალის დაუარსებია ს. კელმეჩურში წერა-კითხვის სკოლა მონასტრის ხარჯზე. სოფ. კელმეჩურის საზოგადოებას უკისრია სკოლისათვის დარაჯის დაქირავება, მასალის შოვნა, გათბობა და განათება

*** აწყურელ ებრაელთა საჩივარი თათრებზე. ახალციხის მაზრის სოფ. აწყურის ებრაელთ უჩივლიათ კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან, ჩვენი სოფლის თათრები მოსვენებას არ გვაძლევენ, ქალებს გვტაცებენ, თავს ესხმიან მათ და მრავალ სხვა შევიწროებას გვაყენებენო. როგორც „კავკ“-ს გაუგონია, ეს საჩივარი გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ერთ ებრაელ ქალს თვითონ მოუსურვებია თათრის ცოლობა.

*** მეურნეთა საყურადღებოდ აცხადებენ, რომ 1899 წლის სექტემბერში საიმპერატორო თავისუფალ ეკონომიური საზოგადოება პეტერბურგში გამართავს რძის მეურნეობის გამოფენას, რომელსაც აზრად აქვს გააცნოს მეურნენი რუსეთის თანამედროვე რძის მეურნეობის მდგომარეობას და გამოარკვიოს საჭირო ზომები ამ მეურნეობის გასაუმჯობესებლად

*** ყაჩაღების თავ-დასხმა. 25 თებერვალს ღამით ფოსტის სადგურის უზუნთალის მახლობლად (ალსტაფიდან 20 ვერსის მანძილზე) რამდენიმე შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაეცა ოტსტ. პოდპოლკ. ხასო-ბეკ ბატიევის სახლს, დასჭრეს იგი რამდენსამე ადგილას მსუბუქად თავში და ზურგში და წაიღეს, 500 მან. ფულად და რამდენიმე ათასი მან. ფასიან ქაღალდებად.

*** ქალაქის არჩევნები სოხუმში. 3, 4, 5 და 6 მარტს დანიშნულია სოხუმში ქალაქის ხმოსნების არჩევნები. ასარჩევია 41 კაცი. ქალაქის მოურავად ჯერ არავის ასახელებენ. ამას წინად რამდენიმე ამრჩეველმა განიზრახა წერილით წინადადება მიეცათ სოხუმელ სახლის პატრონის, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ა. ოსტროუმოვისათვის, რომ მას კენჭი ეყარა სოხუმის ქალაქის მოურავის თანამდებობაზე, მაგრამ შემდეგ ორი-სამი ამრჩევლის წინადადებით გადასწყვიტეს, სანამ ხმოსნების არჩევნები არ გათავდება, წერილს ნუ გავაგზავნითო.

*** სამხედრო ბეგარა. ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულო უკვე შეუდგა იმ პირთა საერთო სიის შედგენას, რომელნიც 1899 წელს უნდა იქმნენ გაწვეულნი სამხედრო ბეგარის მოსახდენად და რომელთაც 15 ოქტომბერს კენჭი უნდა ამოიღონ. ამასთან სამხედრო საკრებულომ ტფილისის პოლიცმეისტერს სთხოვა, უბრძანეთ პოლიციის მოხელეთ, რომ გამოძიება მოახდინონ იმ გასაწვევ ყმაწვილ-კაცთა საოჯახო მდგომარეობის შესახებ, რომელთაც შეღავათი აქვთ მინიჭებულიო.

*** სენატის განმარტება. სენატმა განმარტა, რომ გლეხის ქონება, რომელიც შეადგენს გლეხის ოჯახის საერთო საკუთრებას‘ პასუხს არ აგებს ოჯახის თვითეული წევრის ვალისათვისაო.

*** სავაჭრო დეპუტატების დამტკიცება. ახალციხიდან იწერებიან, რომ ტფილისის გუბერნატორის თანამდ. აღმ.-მა დაამტკიცა ადგილობრივ ქალაქის გამგეობისაგან 1899 წ ოთხი წლის ვადით არჩეული სავაჭრო დეპუტატები, რომლების სია უკვე გამოცხადებული გვქონდა ჩვენს გაზეთში.

*** მცირე წლოვან ბავშვთა დაქირავება ქარხანაში. მე 4 ნაწილის პოლიციამ პასუხის გებაში მისცა თამბაქოს ქარხნის პატრონი ბოზარჯიანცი იმის გამო, რომ მექარხნე ამუშავებს თავის ქარხანაში მცირე-წლოვანებს, რომელთაც ჯერ 12 წელი არ შესრულებიათ. მექარხნე უარყოფს ამ ამბავს, მაგრამ პოლიცია ამტკიცებს მას მოწმების ჩვენებით. გაიგეს თუ არა ეს ამბავი სხვა თამბაქოს ქარხნის პატრონებმა, განთავისუფლეს მუშაობისაგან მათ ქარხნებში მომუშავე მცირე წლოვანი ბავშვები.

*** ავლაბრის პროგიმნაზიის დაარსების საქმე. ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ აღძრული შუამდგომლობა ავლაბარში სავაჟო პროგიმნაზიის დაარსების შესახებ და აგრეთვე ამ პროგიმნაზიის შესანახად ქალაქის ფულიდან 6 ათასი მან. გადადების შესახებ 25 თებერვალს ტფილისის გუბერნატორის თანამ. აღმ. წარუდგინა კავკასიის მთავარმართებლის თანამდ. აღმასრულებელს ა. ა. ფრეზეს.

*** სამსახურში ჩადგომა. ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლად დანიშნული ბ. აბელი უკვე მოვი-
და ტფილისში და პირველ მარ
დან სამსახურში ჩადგება.

*** სამეურნეო საზოგადოე
არჩევნები. 25 თებერვალს მო
კავკასიის სამეურნეო საზოგად
ბის თანამდებობის პირთა არ
ნების საქმის განსახილველად,
მელიც დანიშნულია ამ თვე
საზოგადოების ვიცე-პრეზიდენ
თავ. პ. ა. გრუზინსკიმ გადაჭ
ლი უარი განაცხადა იმაზე,
მან კიდევ იყაროს კენჭი ვი
პრეზიდენტის თანამდებობაზე.

*** ქალაქის საქმეები. ქალა
საბჭოს სხდომა 1-ლ მარტს გა
ხილავს შემდეგს საქმეებს: გამგ
ბის მოხსენებას სასმლების დ
ბის გახსნაზე ნებართვის მიც
შესახებ, საბჭოს საქმეთა წარმ
ბის წესრიგის გადამშინჯველ
მისიის მოხსენებას, ბირჟის მე
ლეთ მამასახლისის თხოვნას
ნების გადასახადის გადახდის
სახებ და სხ..

*** საბაღოსნო საზოგადო
განყოფილებისაგან. ორშაბათს, 1
მარტს, საღამოს 7 საათზე, რუ
თის საიმპერატორო საბაღოს
საზოგადოების კავკასიის განყო
ლების სადგომში გაიმართება
საუბარი „რენეტის“ ჯიშების
ნაყოფების საწმენდი იარაღ
შესახებ, შემდეგ-კი მოხდება
ყოფილების სხდომა ზოგიე
ბაღეულობისა და მოდელების
მოფენით. განყოფილების წევ
დაურიგდებათ ზოგიერთი თეს
ულობა.

*** ბათომის ქალაქის მოურ
ავადმყოფობა. „ჩერნ ვესტ“. სწ
რომ ბათომის ქალაქის მოურ
და ნ. ასათიანი მძიმე ავადმყ
შეიქმნაო. ქუთაისიდან დეპ
მიუწვევიათ ექიმი ვორონოვი

*** **ქსნის ხეობა.** საერთო
მაზუნება. ისევ და ისევ ქსნის
ობა და ქსნის ხეობა!.. უნუგ
მიმკვდარებული კუთხე!.. უ
რი ვარ, ბატონებო, წარმოგ
ნოთ ეს საგანი საერთო მწუხ
ბისა მთელი თავისი ძარღვ
ნჭავი კვნესა-ვაებით. არ
სწორედ რა აღვნიშნო აქ უ
რესად და რა მცირე წამებად
კი სად არის იქ მიჯნა მეტ
ლეობისა, სადაც დაღრინავს
მიშვებული ცოფით შეთქმუ
ქინი და ბრაზი; სადაც გ
ურთი-ერთობის, სიჩვილე გ
იკიცხება, სადაც გაგლეჯა
ყუება, საბაზროთ ფიცი ს
თითად გარდაქცევია ახალ-გ
ბას!!

გამორჩე ვისმე, ფული
ქო,—აი ეს არის სალმთო
ნად, აი რას ემსახურება

ცხლით ეს ახალგაზრდობა.
ტეთ ამ სამწუხარო მოვლე-
როვნული სიძულვილიც და
ვიც ცხადია.
სწორედ ამ გემოს გუნდი
სწოლია უნუგეშო ხეობას,
ხობით ცხვარ—უენო გლე-
ი. აცხრებიან ამ თავ-რეტ
ისეც დრო-ბრუნვით
ლივ ჩაგრულთ, სრუტავენ
და მით მეტად, რამდენა-
თხოვს ხეობა მფარველო-
ერთა შველისა!
საავადმყოფო. ამისთანა დროს
მ მიხრწნილთ, სულით მო-
ა გამოევლიჯვის საავადმ-
, რომელიც არის დაარსე-
სოფ. ახალგორში. არა!
ამისათვისაც გვეოცების ის
ვითომც ეს საავადმყოფო მუ-
მი თუ სადღაც დუშეთის
ბლიდ უნდა გადაიტანონო·
მა ინებოს, რომ ჰური გა-
ეს ხმა; წინაალმდეგ შემ-
მი, ეს დანაკლისი ერთ-ერთ
რნავ დასჯათ მიეთვლება ამ
ც დასჯილ, აოხრებულ ქვნის
; ამას მოჰყვება სხვათა
სრული დამარხვა, გაწბი-
უკანასკნელი ნუგეშისა და
იერი წარმოდგენა ამ ათასო
ლეხობისა, რომ გატყორც-
ეს ხეობა, როგორც ული-
უთანასწორო დანარჩენთა
ნთა უფლებათა! რაღა იქნე-
ზე მომაკვდავი ცხოვრებაში!?
ქამა ბრძენი ეჭვგარეშეა,
თანაუგრძნობს ამ ხეობას
ვემული ექიმი ამ საავადმ-
ი ბ. ბროძელი თავის
არ გასწირავს ამ კუთხეს;
თ თუ საქმით ვიქონიეთ
მომხრეს. ჭეშმარიტად მწ
ოფილა ხვედრი ვანათლე
პირისა სოფლად. ამას მე
დ ვხედავ ბ. ბროძელზედ.
ს, სცდილობს დღეს ხვალი-
ჩაავონოს დროს შესაფე-
ნიშვნელობა მკურნალობი-
ყალზე მკითხაობისა, უნდო-
საერთოდ სოფლიურ წამ-
ექომაგება კეთილ დაწყებას
ამ გვარად სასურველი
აბლობით ატარებს დროს.
რომელ პატიოსან პირს
ნია ცილის წამება, რომ ბ.
ლს ასცილდეს! იმედია, ბ.
ლი არ დაეჯაბნის ცილის
სიტყვიერია ის თუ ნაწე-
გაიტეხავს გულსა და თა-
რი თავ-მდაბლურის ძმურის
ი ამოგვიდგება ჩვენ ქვნის
ებს.

მ. ახალგორელი

## ...კურნალის ცნობა

—

...ლი ქარი. წითელი ქარი ძა-
...ხამში ავადმყოფობა და თუ ადამიანმა თავის დროზედ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია ადვილად შესაძლებელია მითი გამწვავებული ავადმყოფი წითელი ქარის მსხვ... ლად იქცეს წითელა. ქარი ზედა კანის ავადმყოფობაა, რომელიც ტყავის სიწითლეში და სიმსივნეში გამოიხატება. განსაკუთრებითი განსხვავება წითელი ქარისა ის არის, რომ იგი ერთი ადგილიდგან მეორე საღზედ ადვილად გადადის და მთელს სხეულს დიდის სისწრაფით ასივებს და აზიანებს, რომლის შედეგი მთელი სხეულის ანთებაა და ზედაც სიკვდილი მოსდევს.—წითელი ქარი ორ გვარია: პირველ შემთხვევაში იგი ჩნდება, როდესაც ადამიანის სხეული დაჭრილია და მასში ხვდება წითელი ქარის მიკროორგანიზმი და მეორეც, როდესაც პირდაპირ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო პირდაპირ უჩნდება ადამიანს ზედა კანში.—წითელი ბარი უფრო ხშირად დედათ სქესს მშობიერების დროს უჩნდებათ, როდესაც მშობიერება ძნელად არის და მთელი საშოთა ასოები ეჭარებათ და წამხდარის სისხლით ევსებათ; ახლად დაბადებულს ბავშვებსაც ხშირად უჩნდებათ წითელი ქარი, კიდევ ამავე შემთხვევაში თუ მშობიერება—გაჭირებით არის. წითელი ქარის საყვარელი ადგილი ადამიანის პირის სახეა; იქიდგან გადადის მთელს თავზედ და შემდეგ სისტემატიურად იბნევა მთელს სხეულში ხშირად თუ ადამიანს სურდო გაუძნელდა შეიძლება წითელს ქარად გადაექცეს.—წითელი ქარი უეჭველად გადამდები სენია, თუ ერთსა სჭირს და მის ახლო მყოფნი ეხებიან მის წყლულს, უეჭველად მათაც არ ასცდებათ და გადაედებათ, რადგანაც წითელი ქარი მხამიანი მოძრავის მიკროორგანიზმებისაგან შესდგება და მაშასადამე გადამდებობაც ადვილათ ხდება.—თუმცა წითელი ქარი გადამდები სენია, მაგრამ ხდა კი არ იცის, მაგალითად როგორც ყვავილმა, წითელამ და სხვ. შეიძლება წელიწადში რამდენჯერმე შეხვდეს,—თუმცა ამგვარი პირნი სხვა გადამდებ სნეულებას ადვილად ხდილობენ. როდესაც ადამიანს წითელი ქარი ხვდება ტანში ამცივნებს, სუსტდება, მადა ეკარგება და თავის ტკივილი ემართება, როდესაც ამ ტკივილებს იგრძნობს ავადმყოფი, მაშინ თან დათან პირის სახე უსივდება და ანთება თან და თან ძალაში შედის.—წითელი ქარის წამლობა შემდეგია: იოდი, იოდოფორმი, ფორის სითხე (ИХТІОЛЪ), კარბოლის სიმჟავე და სხვ. დასადევი წამლებით წითელი ქარის მორჩენა ყოვლად შეუძლებელია, მხოლოდ როდესაც ავადმყოფს ტანში ამცივნებს კარგია ცივი ტილოების დაფენა და თუ სტომაქში ან წელების ანთება, ან სიცხეზე დაემართა, მაშინ კარგია მიაღებინოთ მარილის სიმჟავე, ოპიუმი, და მუცელში გასაფალარათებელი ზეთი.—ზოგიერთი ექიმები სახის სიმსივნის დროს კარბოლის სიმჟავის ტყავში შეშვებას ურჩევენ. წითელი ქარით ავადმყოფს სასმელ-საჭმელი ნოყიერი უნდა.

ივ. კავთელი.

## რჩეული აზრები

—

ადამიანის შთამომავლობითი ბუნებას, თვით გენიოსიც ვერ დაამარცხებს.

—

ბედნიერად ის კი არ რაცხს თავის თავს რომელიც გონიერია, არამედ ის სულელი. რომელსაც თავისი თავი ბრძენი ჰგონია.

უსვინიდისო კაცი, იმ თიხის ჭურჭელს წააგავს, რომელსაც ზემოდგან ოქროს ვარაყი აქვს გადაკრული.

—

მწუხარება რეზინის ბურთს წააგავს: რამდენსაც დედამიწაზედ დაანარცხებ, იმდენჯერვე ისევ მაღლა შეხტება.

—

ადამიანს ლტოლვილება არ უნდა ჰქონდეს ბედნიერებისაკენ, არამედ უნდა ეცადოს, რომ იგი ღირსი გახდეს ბედნიერებისა.

ყოველივე ადამიანი შვილია თავისავე დროებისა.

## ყურმოკრული საუბარი

—

— რა არის კოცნა?

— კოცნა მშვენიერი დასაწყისია, რომლის ბოლო მწუხარებაა.

—

— თქვენ კლუბში სტუმრად მობრანდით?

— სტუმრად მოვედი, მაგრამ ჩემ და სამწუხაროდ კი არავინ მეპატიჟება.

—

— რა დაგმართიათ ექიმო, რა ფერი დაგიკარქავთ და კანკალებთ?

— ერთი პაციენტი ქალის მიზეზით.

— რათ საშიში ავადმყოფია?

— არა—საშიში ავადმყოფობა კი არ აქვს—მაგრამ თვითონ ქალია საშიში?

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

როგორ იციან კოცნა ჩინელებმა. ჩინელებმა ჩვენებურად როდი იციან კოცნა. ისინი კოცნის მაგივრად მხოლოდ ყნოსავენ. მათი კოცნა მდგომარეობს შემდეგში: ჯერ ჩინელი თავის საყვარელ ადამიანს ცხვირს მიაბჯენს ლოყაზე, შემდეგ დიდხანს ყნოსავს და სუნთქავს მითი თვალ დახუჭული, და ბოლოს ტუჩებს სუსტად ამტლაშუნებს, მაგრამ ლოყას კი არ აკარებს. ჩინელებს თავიანთი კოცნა საუკეთესო და ამაღლებულ საშუალებად მიაჩნიათ სიყვარულის გამოსახატავად და ჩვენებურ კოცნას პირუტყვულს უწოდებენ. ჩინელები ამბობენ, როცა ევროპიელები ერთმანეთს ჰკოცნიან, კაცის მჭამელებს ჰგვანანო. როცა ფრანგებმა კოხინხინა დაიპყრეს, მისი მცხოვრებლები აფრთხილებდნენ თავიანთ ცოლშვილს, ფრანგების ჯარის კაცებს არ მიეკაროთ, თორემ მათ მოხვევნის დროს კბენა იციანო; ახლაც კიდევ ანამის მცხოვრებლებს, როცა მათ ბავშვების გაჩუმება სურთ, „ევროპიული კოცნით“ აშინებენ. თითქმის განათლებული ჩინელიც კი ამავე აზრისა არის და ევროპიული კოცნა მას მიაჩნია ველურ და ყოვლად უაზრო საქციელად.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

26 თებერვალი

**მადრიდი.** დიურანს დეპეშით ატყობინებენ, რომ სანტონში აჯანყდნენ კატორგაში მომუშავენი. საჭირო შეიქნა პოლიციის ჩარევა. ერთი ტუსაღი მოჰკლეს, 7 დაიჭრა

აქ მოხდა შეტაკება ლიბერალსტუდენტებსა და კონსერვატორ სტუდენტებს შორის. თვალ-საჩინო უსიამოვნება არა მომხდარა რა.

**ლონდონი.** სათემო პალატა. თავისი სიტყვა ფლოტისათვის ახალი კრედიტის გადადების შესახებ გოშენმა დაამთავრა შეიარაღების შესამცირებელ კონფერენციის გახსენებით. „თუ ჩვენ კონფერენციის დადგენილებანიო,—სთქვა მან, და სხვა სახელმწიფოთა მოქმედება, როგორც ამ კონფერენციის შედეგი. ნებას მოგვცემს შევცვალოთ ჩვენი პროგრამა, ისე რომ არ შეიცვალოს ჩვენი მდგომარეობა სხვა სახელმწიფოთა შორის, მე მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ თუ სხვა დიდი ზღვის სახელმწიფოები მოინდომებენ გემების აშენების პროგრამის შემცირებას, ჩვენ სიამოვნებით მივვგებებით ასეთ ნაბიჯებს და შევცვლით პროგრამას. საქმის ასეთი გადაწყვეტის სიძნელე, ლაპარაკი არ უნდა, დიდია, მაგრამ ჩვენი სურვილი, რომ კონფერენციას შედეგად მოჰყვეს ევროპის ხალხებზე მძიმედ მდებარე საშინელი ტვირთის შემსუბუქება,—სრულიად გულწრფელია. (მოწონება). თუ რუსეთის მეფის იმედი არ გახორციელდა, მაშინ ჩემ მიერ წარმოდგენილი პროგრამა ძალაში უნდა დარჩეს. ის დამყარებულია იმ საფუძველზე, რომლის შესახებ სათემო პალატა ყოველთვის მოელოდა, რომ ჩვენ მას გვერდს ავუხვევთ.

**პარიზი.** საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ არ შეიწყნარა ესტერ-გაზის მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ პალატამ არ მიიღოს სამოსამართლო გამომძიებელი ბერტიულიუსი, რომელსაც მინდობილი აქვს ესტერ-გაზზე მისი ბიძაშვილისაგან

დაბრალებულ გაიძვერობის საქმე.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატამ უკამათოდ მიიღო ავსტრიასთან დროებით შეთანხმება პირვანდელი სახით.

**ლონდონი.** „ტაიმს“ ს დეპეშით აუწყებენ პეკინიდან: „ცუნგ-ლი-იამენმა შეატყობინა იტალიის ელჩს, დეპეშა იმიტომ დაგიბრუნეთ, რომ შესაძლებელი იყო თქვენი მოთხოვნილების შესრულება, ხოლო სხვა სახით შეუწყნარებლობა, ჩინელების შეხედულობით, ავნებდა დამოკიდებულებას. მაგრამ, რადგან ცუნგ-ლი-იამენის ყოფა-ქცევა შემცდარად გაიგეს, ამის გამო ჩინეთის ელჩს რომში მიენდო მწუხარების გამოცხადება.

**ლონდონი.** „Daily Graphie“-ი გვაუწყებს, რომ ბრიტანიის ელჩი ვაშინგტონში პაუპს ფოტი დანიშნულია ინგლისის წარმომადგენლად შეიარაღების საწინაალმდეგო კონფერენციაზე გააგში. იგივე გაზეთი იუწყება, რომ ის კრიზისი, რომელიც გამოიწვია ხელშეკრულება ნიუჩაუნის რკინიგზის შესახებ, მეგობრულად მოსპეს ერთმანეთ შორის აზრების გაზიარებით ინგლისისა და რუსეთის მთავრობათ. გირსის პროტესტის მიზანი ძლიერ გააზვიადეს, ამ ჟამად ყველა სიძნელე დაძლეულია. ორივე მთავრობა ამ ჟამად პროექტს ამზადებს, რომელსაც მიზნად აქვს გააწესრიგოს მათი დამოკიდებულება შორეულ აღმოსავლეთში.

**პარიზი.** პალატა. დიუპუი თხოულობს 600,000 ფრანკს კრედიტს ტულონის აფეთქების მსხვერპლთათა დასახმარებლად. ფრეისინე პასუხს იძლევა სხვა და სხვა გვარ კითხვებზე და ამბობს, მე ვუბრძანებ დაათვალიერონ ყველა თოფის წამლის ქარხანები საფრანგეთში და შეასრულონ ყველა საჭირო მუშაობა აფეთქების თავიდან ასაშორებლად. თუ ზოგიერთი ქარხნის დახურვა საჭირო შეიქნა, მე პალატას კრედიტს ვთხოვო. პალატა შეუდგა სამხედრო ბიუჯეტის განხილვას.

**ვენა.** „Neue Frel Sresse“-ს ლვოვიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ გალიციის საკრედიტო ბანკის დირექტორმა კრიჟანოვსკიმ თავი მოიკლა დღეს აქ, თავის ბინაზე . ზოგიერთები ამბობენ, რომ თავის მოკვლის მიზეზი ამერიკული დუელი იყო, სხვები—ცხოვრების შეძულებაო. კრიჟანოვსკი ტრიალებდა უმაღლეს არისტოკრატიის წრეში და მისი ნივთიერი გარემოება მშვენიერი იყოო. იყო, სხვათა შორის, მინისტრ პრეზიდენტად ნამყოფის ბადენის ქონებათა მოურავად. ლვოვის ფინანსისტები თავის მოკვლას გულ-დამშვიდებით უცქერენ და მას უკავშირებენ საკრედიტო ბანკის მდგომარეობას.


# გაიყიდება

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, დუდუკები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкальное депо**

**Б. М. Мириманiана**

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—54)



გამოვიდა და ისყიდება „წ.-კით ხ ვის გამავრ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# იუდა

(ხადსონისა)

ნათარგმნი **ილ. ფერაძის-მიერ**, გამოცემა ექ. ხელაძისა. ფასი **3** კაპიკი.

იმავე ავტორის თხზულება: **Мысли Преосвященнаго Гаврiила еписк- Имеретiи о воспитанiй дѣтей“** ისყიდება ბ. ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ფასი **20** კაპ.

(10—9).



გამოვიდა და ისყიდება ყველგან

# „ამხანაგი“

უბის წიგნი და კალენდარი

ფასი 25 კაპ.

ვინც დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, ნაღდ ფულზე დაუთმობთ თითო აბაზათ. ადრესი: Квирилы, Ивану Ардишвили.



**1899 годъ** **изданія годъ**

Отрыта подписка на выходящее 20 разъ въ годъ, т. е. по одному р... теченіе четырехъ лѣтнихъ мѣсяцевъ (май, іюнь, іюль, августъ) и по дв... въ остальное время, илюстрованное изданіе безъ предварительной ценз...

# „Журналъ Журналовъ и Энциклопедическое Обозрѣніе“.

Въ 1898 году были напечатаны слѣдующія оргинальныя статьи: проф... тизмъ и внушеніе;—Замѣтки о соціализмѣ; —Х-лучи Рентгена. Радіоско... діографія; —Потребленіе свѣта растеніями;—1) Вліяніе смѣшенія рас... исхожденіе генія, 2) Международный языкъ будущаго; В. Г. Головачовъ—О... флота для Россіи на основаніе исторіи, И. А. Гриневская—1) Альфонсъ Додэ, 2)... выставка, 3) Альма Тадема; 4) Герг. Гауптманъ; проф. Н. Коркуновъ—1) Домени... ландайо и вновь открытая во флоренціи его фреска, 2)Экономическія теоріи... ства; проф. 1) Послѣдствія американской побѣды, 2) Типъ преступной же... М. М. Манасеина О деньгахъ и о богатствѣ; проф. Д. И. Менделѣевъ Золото... ребра; проф Обсерваторія на Монрозѣ и альпійская станція; проф. О совпа... (съ примѣч. Тріема); Л. Е. Оболенскій Дикость современныхъ западно-европ... ныхъ масъ и ея причины; проф. О чародѣйствѣ и волшебствѣ у первобытны... довъ, 1) Задачи воздухоплаванія въ 1897 г., 2) Стремленіе къ жизни... конечныхъ причинъ; проф. Л. Саккети Задачи искуства; прив.-доц. Спб. Унив... рафимовъ—Новости астрономіи; акад. кн. И. Р. Тархановъ.—1) Неожид. на... слѣдіе стараго года, 2) О періодичности въ явленіяхъ жизни, 3) Физич. энер... роды въ качествѣ цѣлебн. силъ, 4) О чувствѣ оріентированія у голубей, 5)... лубн, 6) О закаливаніи человѣка, 7) О іейронахъ, 8) Физіол. и психол. обез... 9) Рентгеновы лучи и Өемида; и др.; Тремъ—О томъ, что было, но прошло... поросло; и другія статьи разныхъ авторовъ.

Кромѣ оргинальныхъ статей, не появлявшихся до сего въ печати и... ныхъ большею частью спеціально для журнала выдающимися учеными и мысл... какъ русскими, такъ и иностраными, въ отдѣлѣ „Изъ журналовъ“ печатаются... ты замѣчательнѣйшихъ статей, и статей извѣстнѣйшихъ авторовъ, появляющ... русской или иностранной періодической прессѣ. а также критика и библіограф... зрѣніе русскихъ и иностранныхъ журналовъ смѣсь, гигіена и здоровье и пр. В... рамму журнала входятъ: науки естеств., медиц. физико-математ., исторія и о... науки, философія, метафизика, психологія литература, искуства, критика и т...

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ при сотрудничествѣ и по... блюденіемъ акад кн. И. Р. Тарханова; исторіи—при сотрудничествѣ... Головачова.

| Подписная цѣна. | | на годъ. | на |
|---|---|---|---|
| | На роскошное изданіе съ доставк. и перес. | 10 р. | |
| | На дешевое изданіе безъ достав. | 5 „ | 3 |
| | „ „ „ съ достав. | 6 „ | 4 |
| | За границу деш. изд. | 9 „ | 5 |
| | „ „ роск. изд. | 14 „ | |

Отдѣльные номера дешеваго изданія по 75 к., роскошнаго изданія по 1...

Роскошное изданіе печатается на лучшей бумагѣ съ улучшенными иллюс... ми и иногда съ увеличеніемъ ихъ количества. Разсрочка на дешевое изданіе с... сылкою и доставкою при обращеніи непосредственно въ контору журнала д... ется со взносами не менѣе 1 р. ежемѣсячно съ 1 января.

Подписка и продажа отдѣльныхъ №№ во всѣхъ значитеьныхъ книжных... зинахъ и въ конторѣ журнала.

Издатель-редакторъ И. П. Кондыревъ.

Контора и редакція СПБ., Гороховая, 13 (уголъ Б. Морской).

(10—



Открыта подписка на 1899 г. на

два еженедѣльные иллюстрированные журнала для дѣтей и юношества

# ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО

основанные С. М. Макаровою и издаваемые подъ редакціею И. Х. Ве...

XXIII-й годъ изданія

„ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ въ 1899 году. по примѣру прежнихъ лѣтъ, выходитъ въ двухъ совершенно самостоятельныхъ изданіяхъ:

**1. «ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО»**

**журналъ для дѣтей младшаго возраста**

(отъ 5 до 10 лѣтъ).

✦ Подписчики на „Задушевное Слово“ для дѣтей младшаго возраста въ теченіе 1899 года получатъ: 52 №№ богато иллюстрированнаго журнала „Задушевное Слово“ и премію: большую олеографическую картину „Попроси Хорошенько“ а также „Библіотечку Задушевнаго Слова“, въ составъ которой войдутъ четыре книжки съ раскрашенными и черными картинками въ оригинальномъ форматѣ: 1) „На Досугѣ“. 2) „Дѣтскія Пѣсенки“, 3) „Мальчикъ съ пальчикъ“ и 4) „Дѣвочка съ Башмачками“.—Въ каждомъ номерѣ журнала будетъ помѣщена какая-нибудь игра или занятіе для дѣтей, юмористич. рисунки и пр. Журналъ печатается крупнымъ шрифтомъ.

**II. «ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО»**

**журналъ для дѣтей старшаго возраста**

(отъ 10 до 14 лѣтъ).

✦ Подписчики на „Задушевное Слово“ для дѣтей старшаго возраста въ теченіе 1899 года получатъ: 52 №№ иллюстрированнаго журнала „Задушевное слово“ и премію: „Календарь“ съ ...никомъ Для Учащихся“ въ пер... 1898—99 учебный годъ, а также ...пуска „Библіотеки Знаменитыхъ ...лей Для Юношества“, въ составъ ...рой войдутъ слѣдующія сочиненія: ...крытіе Америки“, А. Е. Разина съ... 2) „Исторія Меленькаго Человѣ... Додэ, съ иллюстр., 3) „Послѣдній ...гиканъ“, Ф. Купера, съ рис. А... и 4) „Пертская Красавица“, В... Скотта, съ иллюстр.

✦ Кромѣ того, при каждомъ изданіи журнала «Заду... наго Слова» будутъ разсылаться особыя приложенія для ...телей: „Педагогическій Листокъ» и «Дѣтскія Моды».

✦ Подписная цѣна каждому изданію «Задушевнаго ...ва» (по выбору подписчиковъ), со всѣми преміями и при... ніями, съ доставкою въ С.-Петербургѣ и съ пересылкою ... мѣста Россійской имперіи – 6 рублей; за-границу – 8 рубле...

✦ Допускается разсрочка платежа на три срока, ... рубля: 1) при подпискѣ, 2) къ 1-му февраля 1899 г. и ... 1-му мая 1899 г.

✦ *подписной годъ съ 1-го ноября 1899 годъ* ✦

Подписка принимается въ книжныхъ магазинахъ товар... ва **М. О. Вольфъ.**

С.-Петербургъ, Гостиный дворъ, № 18. ✦ Москва, Кузнецкій мостъ...

(6—


Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Мартъ 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ.